შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (9.732)

14-21 მაისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

ყურძენზე სუბსიდია წელსაც გაიცემა

ჭაბუკები დარჩნენ მარად...

გვ.3



გვ.2

ახალი ინვენტარი-საჯარო სკოლებს!

ერთწლიანი პაუზის შემდეგ კახის წმინდა გიორგის ტაძარში მღვდელმსახურება აღდგება

გვ.7

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით მალე დაიწყება ქ. დედოფლისწყაროში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მოხატვა. შესასრულებელი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით გახსნილია ანგარიშები, რომელზეც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩარიცხოს თანხა. შევეწიოთ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

ლარის ანგარიშის რეკვიზიტები
ს.ს. „თიბისი ბანკი“
საბანკო კოდი- TBCBGE22
მიმღების დასახელება-დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი
ანგარიშსწორების ანგარიში-GE64TB7941036080100004

FOR USD TRANSFER

თიბისი ბანკი TBC BANK

INTERMEDIARY:	CITIBANK N.A. NEW-YORK, USA SWIFT: CITIUS33 ABA: 021000089	DEUTSCHE BANK TRUST COMPANY AMERICAS NEW-YORK, USA SWIFT: BKTRUS33 ABA: 021001033
BENEFICIARY'S BANK:	HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22 JSC "TBC Bank", Head Office SWIFT: TBCBGE22	
BEN'S Account:	GE92 TB79 4103 6180 1000 01	
NAME OF BENEFICIARY:	DEDOPLISTSKARO VIRGIN CATHEDRAL CHURCH	

15 ნაკრძალი ერთ ქვეყანაში - საქართველოს დაცული ტერიტორიები

გ3.8

C M Y K

პრემიერი - ბოლო წლებში საქართველომ ბევრს მიაღწია კორუფციასთან ბრძოლაში

მე, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სიამაყით ვაცხადებ, რომ ბოლო წლებში საქართველომ ბევრს მიაღწია კორუფციასთან ბრძოლაში, რისთვისაც ჩვენ დავნერგეთ რიგი ინოვაციები, მაგალითად, ვაფართოებთ ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე მომსახურებას ფიზიკური პირებისთვის, რათა მან იურიდიული პირებიც მოიცვას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ტელეკომპანია შკყ ნეწს-ის ეთერში, გადაცემაში lან ჯინგ გივე განაცხადა.

საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, ერთ შენობაში, ერთი ფანჯრის პრინციპით ყველა სახის მომსახურებას მიიღებენ, როგორც ფიზიკური, ისე - იურიდიული პირები.

„გარდა ამისა, ჩვენ დავნერგეთ ელექტრონული შესყიდვების სისტემა, რომელიც გამორიცხავს კორუფციის შესაძლებლობას. ასევე დავნერგეთ ელექტრონული ბიუჯეტირების სისტემა. კორუფციასთან ბრძოლას ემსახურება ჩვენ მიერ მიღებული სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივა. ამ ნაბიჯების ერთიანობა კი ცვლის შესაბამის კულტურას ჩვენს ქვეყანაში და გამორიცხავს კორუფციის შესაძლებლობას. სულ ახლახან წამოყენებული ერთ-ერთი ინიციატივა გულისხმობს მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ელექტრონული დეკლარაციების მუდმივ მონიტორინგს, როცა საჯარო სამსახურის ბიურო უფლებამოსილია, უჩივლოს საჯარო მოხელეს, ან მის ნათესავებს, თუკი მის დეკლარაციაში რაიმე დარღვევა აღმოჩნდება“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციის ანგარიშებზე, რომელთა მიხედვით, საქართველო წამყვან პოზიციებზეა.

„მაგალითად, მსოფლიო სამართლის პროექტის თანახმად, საქართველო პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 13 ქვეყანას შორის, ასევე მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის 29-ადგილზე, კორუფციის დაბალი მაჩვენებლების კატეგორიაში. გლობალური კორუფციის ბარომეტრის გამოკითხვის (საერთაშორისო გამჭვირვალობა) თანახმად, საქართველოში გამოკითხულთა 4 პროცენტზე ნაკლები აცხადებს, რომ ოდესმე მიუცია ქრთამი. ეს არის კორუფციის ძალიან დაბალი მაჩვენებელი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენ მიერ მიღწეული პროგრესი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური ნების და მოსახლეობის მტკიცე მხარდაჭერის არსებობის შემთხვევაში, ბევრის მიღწევა არის შესაძლებელი. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველო, სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გახვეული ქვეყნიდან, მსოფლიოში კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე სახელმწიფოდ გარდაიქმნა“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ანტიკორუფციული სამიტის ჩატარება არის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის დროული და მნიშვნელოვანი ინიციატივა, რადგან ანტიკორუფციულ მექანიზმს ამოძრავებს სამი ძირითადი ასპექტი - გამჭვირვალობა, აღსრულება და ცვლილებები კულტურაში, რომლებსაც ტექნოლოგიები და პოლიტიკური ნება ასაზრდოებს.

ეურძენზე სუბსიდია წელსაც გაიცემა - გიორგი სამანიშვილი

რთველის სუბსიდირება წელსაც მოხდება. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა გიორგი სამანიშვილმა განუცხადა. მისივე თქმით, უკვე შემუშავებულია სუბსიდირების ორი ვარიანტი, რომლებზეც საბოლოო გადაწყვეტილება მთავრობამ უნდა მიიღოს.

როგორც გიორგი სამანიშვილმა აცხადებს, ამ დროისთვის სპეციალისტები მოსავლიანობას და ექსპორტის მოცულობებს აკვირდებიან. მისივე განმარტებით, ნელ-ნელა სუბსიდირების მოცულობა შემცირდება, რომ დარგი თავისით გადავიდეს ისეთ სისტემაზე, როდესაც რთველის ჩატარებას მევენახეები დამოუკიდებლად შეძლებენ.

„სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „რთველი 2016“-ისთვის მზადება დაიწყო. სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიდის მუშაობა ყურძნის სუბსიდირების საკითხზე. უკვე შემუშავებულია ორი ვარიანტი, რომლებსაც განვიხილავთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სუბსიდირება არ არის დარგისთვის კარგი და მომგებიანი, თუმცა ჯერ დარგი არ არის მზად იმისათვის, რომ სახელმწიფო დახმარების გარეშე ჩატარდეს რთველი. სუბსიდირების ახალი მოდელები წინა წლებისგან განსხვავებულია. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას მთავრობა მიიღებს“,- განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

გამგებელი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების EMPARD-ისა (ევროპის სამეზობლოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამა საქართველოში) და ,, ქეა საერთაშორისო კავკასიაში'' წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრა საინფორმაციო-გაცნობითი ხასიათის იყო, სადაც წარმომადგენლებმა გამგებელს თავიანთი მომავალი განსახორციელებელი გეგმების შესახებ ესაუბრეს. მომავალი პროექტები ძირითადად რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას ითვალისწინებს და შესაძლებელია ასეთი პროექტების სამიზნე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი გახდეს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე თამარ ქალდანის შემცვლელის შერჩევა იწყება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე თამარ ქალდანის შემცვლელის შერჩევა იწყება. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა უკვე გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.

პრემიერის ბრძანებით, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული, თამარ ქალდანის შემცვლელს აირჩევენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე მზია თოდუა, სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორი გიორგი კლდიაშვილი.

კანონმდებლობის თანახმად, ინსპექტორად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და შესაბამისი საქმიანი და მორალური თვისებები.

ინსპექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 11 და არაუგვიანეს 10 კვირისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან 1 კვირის ვადაში კომისია საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ინსპექტორის შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრებს. კომისიის ყველა წევრის წარდგენიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი იწვევს კომისიის პირველ სხდომას.

ინსპექტორის შესარჩევი საკონკურსო კომისია ხმათა უმრავლესობით შეარჩევს ინსპექტორის არანაკლებ 2 და არაუმეტეს 5 კანდიდატურას და წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც თავის მხრივ 10 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს 2 კანდიდატურას ინსპექტორის თანამდებობაზე ასარჩევად. საქართველოს პარლამენტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, კანდიდატურების წარდგენიდან არაუგვიანეს 14 დღისა ირჩევს ინსპექტორს. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევისათვის საკმარისი რაოდენობის ხმები, საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2 კვირის ვადაში აცხადებს ხელახალ კონკურსს.

ინსპექტორი ინიშნება 3 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი ინსპექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოქმედი ინსპექტორი თამარ ქალდანი თანამდებობაზე 2013 წლის 1 ივლისს დაინიშნა.

სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ევროკავშირში დარჩენისა და მუშაობის უფლება ექნებათ

ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა ახალ რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის ევროკავშირის უნივერსიტეტებში სწავლა და სამეცნიერო საქმიანობა გამარტივდება. ევროპარლამენტის განცხადებით, ახალი წესები უფრო ნათელს ხდიან და აუმჯობესებენ ევროკავშირში სხვა ქვეყნებიდან ჩასული სტაჟიორების, მოხალისეების, სკოლის მოსწავლეებისა და „ოპერის“ პროგრამის მონაწილეთა ყოფნის პირობებს.

„რეგულაციები ორ არსებულ მიმართულებას ეხება და ადგენს, რომ: სტუდენტებსა და მკვლევრებს, სასწავლო პროცესის ან კვლევითი სამუშაოს დასრულების შემდეგ, შეუძლიათ ევროკავშირის ტერიტორიაზე სულ მცირე 9 თვით დარჩნენ იმისთვის, რომ დასაქმდნენ ან დაიწყონ ბიზნესი, რომელიც ევროპას სარგებელს მოუტანს;

სტუდენტებსა და მკვლევარებს შეუძლიათ ადვილად გადაადგილდნენ ევროკავშირის საზღვრებში. მათ აღარ დასჭირდებათ ახალი სავიზო აპლიკაციის შევსება. მკვლევარებს საშუალება ექნებათ, ჩავიდნენ სხვა ქვეყნებში უფრო ხანგრძლივი პერიოდით, ვიდრე ამჟამად არის დაშვებული;

მკვლევარების ექნებათ უფლება თან წაიყვანონ ოჯახის წევრები, რომლებსაც ევროპაში ყოფნის პერიოდში ადგილზე მუშაობის უფლება ექნებათ.

სტუდენტებს უფლება ექნებათ კვირაში სულ მცირე 15 საათი იმუშაონ“, - აღნიშნულია ევროპარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

„ეს უდაოდ ნიშნავს იმას, რომ ევროპული უნივერსიტეტები მსოფლიო მასშტაბით უფრო კონკურენტუნარიანები გახდებიან და გაუმჯობესებული პირობების გამო, ისინი უფრო მიმზიდველი იქნებიან ამბიციური და განათლებული ადამიანებისათვის“, - განაცხადა ევროპარლამენტის წევრმა სესილია ვიკსტრიომმა.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ორი წელი ექნებათ ახალი რეგულაციების საკუთარ კანონმდებლობაში იმპლემენტაციისთვის.

უჩა ნანუაშვილი – ქალთა მიმართ ძალადობის და მკვლელობის კუთხით არსებული რეალობა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს

ქალთა მიმართ ძალადობის და მკვლელობის თვალსაზრისით არსებული რეალობა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, - ამის შესახებ სახალხო დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

უჩა ნანუაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არაერთი პრევენციული ზომა იქნა გატარებული, პრობლემა კვლავ მწვავეა.

„ქალთა მიმართ ძალადობის და მკვლელობის თვალსაზრისით არსებული რეალობა განსკუთრებულ შეშფოთებას იწვევს. 2015 წელს გამოცემული შემაკავებელი ორდერების მიხედვით, ოჯახში ძალადობის 2 726 ფაქტი გამოვლინდა, სადაც 5 106 პირი მონაწილეობდა. საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით, რომელიც გადმოგზავნილია ჩვენს აპარატში, 2015 წელს ქალთა მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის 28 შემთხვევა გამოვლინდა, აქედან 16 შემთხვევა ოჯახში ძალადობის პირობებში იქნა ჩადენილი, 12 შემთხვევა სხვა მოტივით. შემთხვევათა უმრავლესობა ჩადენილია პარტნიორი, ყოფილი პარტნიორის ან პირის მიერ, რომელსაც უარი ეთქვა პარტნიორულ ურთიერთობაზე. კვლავ გვხდება აბორტის ისეთი ფორმა, როგორიც გენდერული ნიშნით სქესის სელექციაა. დღემდე პრობლემას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია და შემთხვევების მართვა. 2015 წელს 611 არასრულწლოვნის ქორწინება დარეგისტრირდა, ოჯახის შექმნის მიზნით კი სწავლა 13-დან 17 წლამდე 408 მოსწავლემ შეწყვიტა“, - ამის შესახებ უჩა ნანუაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას განაცხადა.

ჭაბუკები დარჩნენ მარად...

დღეს საქართველოში 1296 ვეტერანი ცხოვრობს. წელს მათ 9 მაისი დილიდან მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, მთავრობის წევრებმა, მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა.

9 მაისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავი მიულოცეს, შინმოუსვლელთა მემორიალი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან ერთად ყვავილებით შეამკეს.

დღეისათვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 13 ვეტერანი ცხოვრობს, რომლებსაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან საჩუქრად ფულადი ჯილდო- 250 ლარი გადაეცათ.

„გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავს. თქვენ ხართ ის სამაგალითო ადამიანები, რომლებმაც ურთულესი დღეები გადაიტანეთ. სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ 13 ვეტერანი შემორჩა ჩვენს მშობლიურ მუნიციპალიტეტს. დღეს ყველა თაობის წარმოამდგენლები აქ ვართ იმიტომ, რომ სწორედ თქვენ მოგიხაროთ ქედი ჩემო ძვირფასებო. ჩვენ გვეამაყება, რომ თქვენი შთამომავლები ვართ.

მინდა, რომ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები გავახარო - ხელისუფლება ცდილობს სათანადოდ დააფასოს ამ ხალხის გმირობა. გასულ წელს ჩვენი ვეტერანები, ადგილობრივმა ხელისუფლებამ 150 ლარით დააჯილდოვა, წელს კი ეს ფულადი ჯილდო 100 ლარით გაიზარდა და თითოეული ვეტერანი 250 ლარს მიიღებს. უღრმესი მადლობა თითოეულ თქვენთაგანს ასეთი თავდადებისათვის, უღრმესი მადლობა იმისთვის, რომ ხართ მომავალი თაობისთვის გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითის მიმცემი“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

შინ მოუსვლელთა მემორიალთან, ომის ვეტერანებისთვის კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ადგილობრივმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღეს.

სიღნაღში უფასო იურიდიული დახმარების ბიურო ამოქმედდა

10 მაისს, სიღნაღში სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ბიურო გაიხსნა. ახალი ოფისი იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, მელიტონ ბენიძემ და სიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გელა გელაშვილმა გახსნეს. ღონისძიებას ასევე — იურიდიული დახმარების საბჭოს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილიც ესწრებოდნენ.

სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო კახეთის რეგიონის სამი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო საადვოკატო მომსახურებითა და იურიდიული კონსულტაციით უზრუნველყოფს.

ახალი ბიუროს ამოქმედებით, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, დაიქირავონ ადვოკატი, უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად აღარ მოუწევთ თელავში ჩასვლა.

დღეისათვის, იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ოფისების ქსელი საქართველოს 19 ქალაქს მოიცავს. გადახდისუუნარო მოქალაქეებს სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ სისხლის სამართლის საქმეებზე, საოჯახო და სამემკვიდრეო დავებზე, ასევე — სოციალური დაცვის საკითხებზე. უფასო იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია გადახდისუუნარო დევნილებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის.

ბიურო განთავსებულია შემდეგ მისამართზე: ქ.სიღნაღი, აღმაშენებლის ქ. №7 (ადგილობრივი გამგეობის მიმდებარე ტერიტორია)

ახალი ინვენტარი-საჯარო სკოლებს!

დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებს ახალი სასწავლო მერხები გადაეცა. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ეთერ ზურიკაშვილის ინფორმაციით, ისინი ყველა სკოლას გაუნაწილდა და შედეგად მოძველებული მერხები თითქმის აღარსად გვხვდება. ამას გარდა, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და სოფელ სამრეკლოს სკოლებში ექიმის კაბინეტიც გაიხსნა.

ეთერ ზურიკაშვილი: „განათლების სამინისტროს დაფინანსებით, აბსოლუტურად ყველა სკოლაში განახლდა მერხები. ოთხივე საფეხურის მიხედვით გავანაწილეთ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყაროში და მის სოფლებში ვერ ნახავთ სკოლას, სადაც არ შეცვლილა მერხები. აქამდე მოსწავლეებს მოძველებულ მერხებზე უწევდათ სწავლა, ეს კი დამეთანხმებით, დისკომფორტს უქმნიდა მათ. ამჯერად ძველი მერხები თითქმის აღარ გვხვდება. ამჟამად ყველაზე საუკეთესო მდგომარეობაა ქალაქ დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში. ამავე სკოლაში მანამდე გვქონდა თითქმის ახალი 160 მერხი, რომელიც განათლების სამინისტროს თხოვნის საფუძველზე საჩუქრად გადავეცით დედოფლისწყაროში მოქმედ ვახტანგ გორგასალის სახელობის საპატრიარქოს სკოლას. გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტიც. დღევანდელი მდგომარეობით, მერხების და სკამების საშუალოდ 95% უკვე შეცვლილია.“

ლია ნატროშვილი (ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის პედაგოგი): „ჩვენმა სკოლამ 140 ახალი მერხი მიიღო, რომლებიც ასაკობრივი ზღვარის მიხედვით უკვე განაწილდა საკლასო ოთახებში. რა თქმა უნდა, ეს ყველასთვის სასიამოვნო ფაქტია, თუმცა ჩვენი სკოლისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან როგორც ცნობილია, ხანძრის შედეგად ავეჯიც გაგვინადგურდა. ვიცით, რომ განათლების სამინისტროდან ეტაპობრივად კიდევ შემოვა სხვადასხვა ინვენტარი. ნაწილობრივ ხანძარსგადარჩენილ ავეჯს ვიყენებთ, ისინი დამატებით კლასებში შევიტანეთ, რომელიც კულტურის სახლის შენობაში ახლახან გავხსენით. პირადად ჩემს სადამრიგებლო კლასშიც ავეჯი გადარჩენილი იყო, გამოვიტანეთ, დავასუფთავეთ და ისევ ვიყენებთ“.

თამარ ჩიხლაძე (სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე): „9 წელი ამ სკოლაში ვმუშაობ და ასე მასიურად მერხების შემოსვლა არ მახსოვს. პერიოდულად იცვლებოდა, მაგრამ არა ამ ოდენობით, ამჯერად ასამდე მერხი მივიღეთ, რომელიც ლაბორატორიებში და საკლასო ოთახებში განაწილდება. დანარჩენი ავეჯიც ნორმალურ მდგომარეობაშია, ზოგიერთი მანამდე გამოიცვალა“.

დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში ამბობენ, რომ მერხების პრობლემა არც მანამდე ჰქონდათ, თუმცა, კარგია რომ განახლდა. სიახლეა ისიც, რომ აქტიურად მუშაობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც შესაბამისი ინვენტარით და სტანდარტებითაა მოწყობილი.

შორენა ღვინიაშვილი (№1 სკოლის ექიმი): „გასაუბრების შედეგად ამ სკოლაში მოვხვდი. სექტემბრის თვიდან შევუდექი მუშაობა. არ გვქონდა მედიკამენტები და სხვადასხვა ნივთები... ოთახის ინვენტარიც დასალაგებელი იყო და ყველაფერი მოვაწესრიგეთ. მას შემდეგ სამედიცინო კაბინეტი გამართულად ფუნქციონირებს. სამუშაო განწყობა დიდი გვაქვს. საკმაოდ მნიშვნელოვანია სკოლისთვის ამ კაბინეტის არსებობა, რადგან მოთხოვნა დიდია. თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი... ხშირია უფრო სერიოზული შემთხვევებიც, მაგალითად მოტეხილობები და სხვა. ჩვენც ოპერატიულად და კვალიფიციურად ვუწევთ პირველად დახმარებას, თუ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მოსვლამდე დახმარებას. არ მახსოვს, ბოლოს როდის მუშაობდა სკოლებში ექიმის კაბინეტი, თუმცა 15 წელზე მეტია, სამედიცინო კაბინეტები აღარ არის. რაც შეეხება ჩემს კვალიფიკაციას და გამოცდილებას, გეტყვით, რომ სამედიცინო ფაკულტეტი დავამთავრე პედიატრის სპეციალობით. 2008-11 წლებში, მაგისტრატურის სრული კურსი დავამთავრე ზოგადი პედიატრიის განხრით, შემდეგ ვმუშაობდი ჰუმანიტარულ კოლეჯში, სადაც ვკითხულობდი ლექციებს, ფარმაცევტულ და მედდის ფაკულტეტზე. ასე რომ, მზად ვარ მომავალშიც აქტიურად ვემსახურო სკოლის მოსწავლეების ჯანმრთელობას და ვფიქრობ, მშობლები უფრო მშვიდად იქნებიან“.

ილია მარტყოფლიშვილი

პოეტი მარინა ჭუმბურიძე დედოფლისწყაროშია

ჩვენს ქვეყანას 9 აპრილის ტკივილი მოშუშებული არ ჰქონდა, 1990-91 წელი იდგა, ესე, მეხუთე-მეექვსე კლასის მოსწავლე ვიქნებოდი, რომ გაჩნდა ახალი ლექსი. ალბათ, ყველას გახსოვთ ეს სტრიქონები, ლექსი ისე გადადიოდა ხელიდან ხელში, ზეიმიდან ზეიმამდე, სუფრიდან სუფრაზე, რომ დღესაც მახსოვს მისი ერთი ნაწყვეტი:

„მიმძიმს გაღიმება, მიჭირს ლექსის წერა,
გულმაც ძველებურად ვეღარ დაიმღერა,
შენს ტკივილებს ვიტევ, შენს ჭრილობებს ვიხვევ,
მსხვერპლად თუ გჭირდები, უკან როდის ვიხევ!
ოი, ნახა ჩემო, ნაწამებო ერო,
მსხვერპლად შემიწირე, დედასაქართველო!“

ამ სტრიქონების ავტორი მარინა ჭუმბურიძე გახლდათ, რომლის სახელი და გვარი ამ ლექსივით ბავშვობიდან დარჩა ჩემში. დიახ, შესაძლოა ეს ლექსი ბევრს აღარც ახსოვს, ან ახალმა თაობამ არც კი იცის, რომ ამ ცრემლებამდე პატრიოტიზმით აღსავსე სტრიქონების ავტორი მარინე ჭუმბურიძეა, ქალი, რომელსაც ამ სტრიქონების მეტი ცხოვრებაში რომ არაფერი ეთქვა, ამითაც იქნებოდა დიდი ქართველი. უსაზღვრო პოზიტივი, საოცარი მადლით სავსე ბუნება, ენერგიული და ნიჭიერი ქალბატონი, ასე დავახასიათებდი ჩვენი კუთხის პოეტს ქალბატონ მარინას. მიუხედავად ძნელბედი ცხოვრებისა დღეს მარინე ჭუმბურიძე ათამდე წიგნის ავტორია. ამას მხოლოდ იშვიათი ადამიანები თუ ახერხებენ. ეს უპირველესად ადამიანის სულიდან უნდა მოდიოდეს. გავიდა წლები და ბავშვობის საყვარელი ლექსის ავტორი უკვე რედაქციის შენობაში გავიცანი. უსაზღვროდ ლაღი და მდიდარი შინაგანი ინტელექტის ქალბატონი, ადამიანთა მოყვარული და კომუნიკაბელური.

ის, იმის დასტურად, რომ საქართველოში ინტელიგენციას უფრო გაუჭირდა, ვიდრე ქორ-ვაჭრებს, მარინა ჭუმბურიძის ცხოვრების მაგალითი გვეყოფა. არც ის დაინდო სამშობლოს მკაცრმა ცხოვრების მანქანამ, უაღრესად განათლებულმა ქალბატონმა, თავისი შვილების საკეთილდღეოდ, შორეულ იტალიას შეაფარა თავი. მასთან სოციალური ქსელით, ისევე როგორც ჩვენი საზოგადოების სხვა მრავალი წევრს, არც მე გამიწყვეტია კონტაქტი. იქაც, ისევე როგორც ცხოვრებაში, ქარიზმატული იყო, თვით შორეული იტალიიდანაც ახერხებდა მოეტანა ჩვენამდე ის მუხტი, რასაც იგი ყოველთვის უშურველად აფრქვევს. არც იქ, იტალიაში მოასვენა მისმა მჩქეფარე შემოქმედებითმა მუხტმა, სამშობლოდან მოშორებულმა ქართველი ემიგრანტი ქალების ცხოვრება დაწვრილებით ჩაიწერა და ერთ წიგნად აასხა. ამას პატარა დრო და ენერგია არ ეყოფოდა, ამ ყველაფერს თუ სულის სარკმლიდან არ გეძახის რაღაც, სხვანაირად ვერ გააკეთებ.

.... ამ აღდგომას სოფელ არბოშიკში გახლდით სტუმრად, მოულოდნელად გავიგე, რომ მარინე ჭუმბურიძე სოფელში იყო. არც მიფიქრია ბევრი, ისე გავხდი მისი სტუმარი. ეზოში საყვავილეებს ახალ მიწას უყრიდა და საგულდაგულოდ აფხვიერებდა, მიუხედავად იმისა, რომ მიწასთან მუშაობდა, მაინც მშვენივრად გამოიყურებოდა. საქმეს ხელი უშვა და ჩვენს მასპინძლობას შეუდგა. როდესაც იტალიაში გამოცემულ წიგნზე ვკითხე, მაშინვე მომართვა მაღალპოლიგრაფიული 330 გვერდიანი წიგნი „ქართველი ემიგრანტი ქალები იტალიაში“ და წარწერით მისახსოვრა. რედაქციაშიც მოვალ და მოგართმევთო, ესეც დააყოლა. არ ვაჭარბებ, მას შემდეგ, რაც ეს წიგნი სახლში წამოვიღე, რამდენიმე ღამე მის კითხვაში გავატარე, ერთ ისტორიას მეორე მოჰყვებოდა, მეორეს მესამე და აღარ მინდოდა, შეშვებოდი ზოგჯერ ცრემლებამდე მისულ თავგადასავლებს. ეს გახლავთ წიგნი, სადაც იმ ქალბატონების ისტორიებია მოთხრობლი, რომლებიც შორეულ იტალიაში ემიგრანტებად ცხოვრობენ და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისთვის, საკმაოდ მძიმე ისტორიები აქვთ გადატანილი. თითოეული ისტორია განსხვავებულია, უმძიმესი წასაკითხი, თუმცა, ერთი რამ ყველას აერთიანებს: – სამშობლოს უსასრულო ნოსტალგია. აი, მაგალითად: - „ქალბატონი რაისა ჯაფარიძე ჩემი საუკეთესო მეგობარია, როგორც კი შეხედავთ, მიხვდებით, რომ ამაყი ბუნების პატრონია, სულის სისუფთავეზე კი, მისი თაფლისფერი თვალები მეტყველებენ, რომელსაც მხოლოდ სიკეთის დანახვა ძალუძთ. ერთმანეთი ტოსკანაში გავიცანით, დროებით უმუშევრები ვიყავით და ოფისებში ერთად დავდიოდით სამუშაოს საძებნელად. ერთხელ ჩვენს საერთო მეგობრებთან ფატისთან და მანანასთან ერთად ბარში შევიარეთ ყავის დასალევად, მიმტანმა აივანზე შემოგვთავაზა მაგიდა, საოცრად ლამაზი ხედი იშლებოდა ჩვენს თალწინ, მწვანეში ჩაფლული ზღვის სანაპირო, აფრიანი ნავები, მოლივლივე ზღვა...სიო საამოდ გვეჩურჩულებოდა და დროებით გვავიწყებდა ჩვენს პრობლემებს. წამიერად სამშობლოში გადავინაცვლეთ და „ქარი გიმღერის ნანასაა“ წამოვიწყეთ, სამხმიანი ქართული მელოდია სიომ ბარში მსხდომთ მიანვდინა, ჩვენი ტკბილი, სევდიანი ღიღინი ერთობ სასიამოვნო მოსასმენი გახდა უცხოელთათვის, სიმღერის დამთავრებისთანავე ისეთმა ტაშმა იგრიალა, რომ ბავშვებივით შეგვრცხვა ნახევარსაუკუნეს გადაცილებულთ,“ - წერს ავტორი სვანი რაისა ჯაფარიძის შესახებ. ...„21 საუკუნის დასაწყისში არნახული სისწრაფით იზრდებოდა საზღვარგარეთ თავისა და ოჯახის გადასარჩენად „გამქცევთა“ რიცხვი. ..ყველანი სამშობლოდან გაჭირვების გამო მიდიან, პირველი პრობლემები ენის უცოდინრობა და უსაბუთობაა, რასაც მოსდევს მოსავლელის აუტანელი ხასიათი...ყველანი მძიმედ შრომობენ, ძალზედ ცოტაა შედარებით უკეთეს პირობებში, როდის დაბრუნდებიან, არ იციან. რიმაც გაჭირვებამ გააქცია სამშობლოდან, უმძიმესი იყო საყვარელ მეუღლესა და საფიცარ შვილებთან განშორება, მაგრამ სხვა გზა ბურუსით იყო მოცული....“ – ამგვარ და ამაზე ბევრად მძიმე მოსასმენ ისტორიებს უამრავს წაიკითხავთ ახლადგამოცემულ წიგნში, მასში 60-მდე ემიგრანტი ქალის ცხოვრებაა აღწერილი, მაგრამ მე უფლებას დავიტოვებ ის ერთი ქვეთავი წარმოგიდგინოთ, რომელშიც თავად ავტორი წერს თავის ემიგრანტულ ცხოვრებაზე. შეხედეთ, როგორ იწყებს ის თავისი მოსაყოლის წერას.

ზოგი რამ ჩემს შესახებ

„შვიდი წლის განმავლობაში შვიდი ოჯახი გამოვიცვალე და გარდა ერთისა, ყველგან ნაწილ-ნაწილ დავტოვე ჩემი ნერვები, ენერგია და ჯანმრთლობა. ავიტანე უამრავი შურაწყოფა, უძილო ღამეები, შიმშილი და მძიმე შრომა. 2013 წლის ივლისის ბოლოს, ქალაქ უდინეში დასაქმების ბიურომ დამიბარა ჩემს თანამემამულესთან ერთად. კონკურსის წესით უნდა დავესაქმებინეთ, ქალაქ ტრიესტეში, 92 წლის ქალბატონის მომვლელად. შესარჩევ ოთახში დაახლოებით ჩემი ასაკის, მაღალი, სანდომიანი ქალბატონი და მისი მეუღლე დამიხვდნენ. გასაუბრებისთანავე მივხვდი, რომ მათზე კარგი შთაბეჭდილება დავტოვე და გული სიხარულით ამიძგერდა, რომ უმუშევრად აღარ დავრჩებოდი.

ორიოდე დღეში ქალაქ ტრიესტეში ლოკის ქუჩის ნომერ 2 ბინაში შევაბიჯე. პირველი, რამაც გამახარა, ჩემი უმუალო ქალბატონის, ირენეს ეკონომიდეს-ადამის ღიმილიანი შეხვედრა იყო. მისი დედისერთა ქალიშილიც ძალზე თბილად მექცეოდა და უხერხულობის ნებას არ მაძლევდა. ქალბატონო მარინა, ეს დღეიდან თქვენი ბინაცაა, და მოიქეცით ისე, როგორც საკუთარ სახლში. დედაჩემს ადვილად გაუგებთ, რადგან მას ძალიან უყვარს და უადვილდება ადამიანებთან ურთიერთობა. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად თავისი ასაკისა, დღემდე შესანიშნავად საუბრობს ექვს ენაზე. თქვენც სიამოვნებით დაგეხმარებათ, რომ იტალიური ენის ცოდნა გაიუმჯობესოთ, მითხრა იზაბელამ და მეგობრულად მომხვია ხელი. მართლაც პირველი დღიდანვე საკუთარი სახლივით მივიღე ჭერი, რომლის ქვეშაც 21 თვე სიამოვნებით ვიმსახურე. ჩემი ქალბატონი ეროვნებით ბერძენი გახლდათ. 25 წლისას უქორწინია იტალიელ გემის კაპიტან როლანდ ადამზე, რომელსაც ერთ-ერთი აფრიკული მგზავრობის დროს ტუბერკულიოზი შეჰყრია და სულ ახალგაზრდა გარდაცვლილა. მათი ერთადერთი ქალიშვილი იზაბელა დედისა და დეიდის ლალის ნებიერა იზრდებოდა. სიტყვამ მოიტანა და ლალი(ეულალიო) ეკონომიდესზე მინდა მოგახსენოთ. მისი და მარია კალასის მეუღლეები ჭაბუკობიდან მეგობრობდნენ და ოპერის დედოფალი ხშირად სტუმრობდა დებ ეკონომიდესებს . ერთხელ, ომიანობის წლებში, მარია კალასს სწორედ ჩვენს ბინაში შუფარებია თავი დაბომბვისას, რის შემდეგაც, უფრო დამეგობრებულა ჩემს ქალბატონთან. ლალი ეკონომიდესი პროფესიით პიანისტი გახლდათ და ხშირად აკომპანიატორობდა მარიას. ჩემი „იტალიური ოჯახი“ ძალზე განათლებული და კულტურული ხალხი გახლდათ. თავად ქალბატონ ირენეს შეეძლო მთელი დღე სიამოვნებით ესმინა კლასიკური მუსიკისთვის. ხშირად ჩემთვის განკუთვნილ საჩუქრებს ოპერისა და ბალეტის დასასწრები ბილეთები წარმოადგენდა. სიცოცხლის ბოლომდე არ დამავიწყდება ტრიესტეში ნანახი და მოსმენილი „ჩიო-ჩიოსანი“, „აიდა“, „სევილიელი დალაქი“, „კარმენი“... უდიდესი სიამოვნება განმაცდევინა ჩაიკოვსკის „გედების ტბის“ ხილვამ და ამ ყოველივეს ჩემს ქალბატონს და იტალიელ დობილს იზაბელას ვუმადლი.

იტალიურ სამზარეულოს კარგად დაუფლებულმა, ადვილად შევძელი, ჩემი ქალბატონისა და მისი ახლობლების ქება დამემსახურებინა, მაგრამ იმერული ხაჭაპურის დაგემოვნებამ მოლოდინს გადააჭარბა. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ვაკეთებდი ჩვენს კერძებს, რომლებიც ძალზე მოსწონდათ და ნაცნობ-მეგობრებს აღფრთოვანებულნი უყვებოდნენ ქართული სამზარეულოს მრავალსახეობაზე.

კვირაობით ქალბატონ ირენეს ხშირად სტუმრობდნენ თავისი ასაკის მეგობრები და სვამდნენ ყავას, შამპანურს, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, მიირთმევდნენ ხილსა და ტკბილეულს. სამხარის შემდეგ მიუსხდებოდნენ მრგვალ მაგიდას და ვახშმობამდე კარტს თამაშობდნენ-„კანასტას“, „მაკიაველს“, „სკალა 40“-ს, როცა მეწყვილე სჭირდებოდათ, მეც მიხდებოდა მათთან თამაში და საკმაოდ გავიწაფე კარტის თამაშებში.

შობისთვის ყოველთვის სიხარულით ველოდით ჩვენი ოჯახის სასურველ „სტუმარს“, ოჯახის ერთადერთ მემკვიდრეს, ალესანდროს (იზაბელას ვაჟს), რომელიც შვეიცარიაში მუშაობს, საკმაოდ პრესტიჟულ ორგანიზაციაში. ის ძალზე განათლებული ახალგაზრდა და საამაყო შვილია, უსაჩუქროდ არასოდეს ჩამოსულა და გამოთხოვებისასაც ჩემდამი ღრმა პატივისცემას გამოხატავდა. ერთხელ, როცა პირდაპირი ჩართვით ვისაუბრე საქართველოს ტელევიზიაში, ალესანდრო დაინტერესდა ჩვენი ქვეყნით და მთელი ღამე წიგნებსა და კომპიუტერს ჩაჰკირკიტებდა. მეორე დღეს ისეთ რამეებს მიყვებოდა ჩემს სამშობლოზე, რომ მეც პირველად მესმოდა.

2015 წლის 25 მარტს 94 წლის გახდა ირენე. შვილმა დაურეკა, რომ ვირუსის გამო მოსვლა არ შეეძლო. ვიცოდი ჩემი ქალბატონის ბავშვური ხასიათის ამბავი და მიუხედავად მისი გაფრთხილებისა, ჩუმად ვიყიდე ყვავილების თაიგული, გავაკეთე ტორტი და საიუბილეო რიცხვი 94 ტორტში ჩავარჭე. მაგიდა საზეიმოდ გავაწყე და როცა სასადილო ოთახში სადილს მოვრჩით, ვთხოვე სასტუმროში შევსულიყავით. სიხარულით გულში ჩამიკრა და პატარა ბავშვივით ატირდა. მაშინ მითხრა -შენ ჩემი მეორე ქალიშვილი ხარ! მადლობა, ძვირფასო! სიტყვებს ვერ ვპოულობ...ძალზე თბილი და ყურადღებიანი ხარ! სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ და ელექტრონული ფოსტით იზაბელას გავუგზავნეთ. 30 მარტს ვახშმის შემდეგ მოხუცს ყოველდღიურ წამლებს ვუმზადებდი. უცებ ინვალიდის ეტლში მჯდომმა თავი უკან გადაადგდო და სასიკვდილო ხრიალი აღმოხდა. მივვარდი, ჯერ ყურებსა და ხელებს ვუსრესდი, მერე ხელოვნური სუნთქვით ვცადე დახმარება, მაგრამ ამაოდ. გალურჯებულს თვალები უკან წაეღო და სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა, პირი ძალად გავახსნევინე, უკან ჩამალული ენა ამოვქაჩე, ფეხები შეძლებისდაგვარად მაღლა ავუწიე და გულზე შეერთებული ჩემი ორივე ხელით მასაჟი გავუკეთე, ფერი დაუბრუნდა, მაგრამ ხრიალი არ შეუწყვეტია, გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანა ხუთ წუთში მოვიდა, ექიმის შექება კი დავიმსახურე, მაგრამ.... მარტმა გაიყოლა ჩემი ქალბატონი. მართლმადიდებლური წესით დაასაფლავეს ჩემი უფროსი მეგობარი, რომელიც მუდამ ზრუნავდა ჩემზე და მადლიერებით მავსებდა ყოველ ნაბიჯზე. ისე მაკლია, როგორც სისხლით ნათესავი და მისი უცრემლოდ გახსენებაც არ შემიძლია.

ასეა! სადაც ავია, იქ კარგიც მოიძებნება. ლოკის ქუჩაზე გატარებულმა 21-მა თვემ იტალიაში გადატანილი ტანჯვა დამავიწყა და მადლიერებით ამავსო იტალიელებისადმი. ან როგორ არ უნდა ვიყო მადლიერი, როცა ახლაც მიხმობენ იზაბელა და ალესანდრო და მეუბნებიან, რომ მე ტრიესტაში მაქვს სახლი, სადაც ნებისმიერ დროს შემიძლია ვიცხოვრო. მე კი, მადლიერების ნიშნად, ჩემს ლამაზ სამშობლოში ვიხმობ, რადგან მინდა, მცირედით მაინც შევძლო მათთვის სამაგიეროს გადახდა.

ახლა უმუშევარი ვარ და მეშინია, ვაითუ, ვეღარავის შევეგუო, ირენე ეკონომიდესისგან განებივრებული ქართველი ემიგრანტი ქალი....

P.S. მადლობა უფალს, გამიმართლა და უკვე ვიშოვე სამსახური: ამჟამად ყოფილ პედაგოგს, 93 წლის ლიჩა გრასის ვემსახურები. ძალზე თბილი და ენაწყლიანია ჩემი მოხუცი. ქარგავს შესანიშნავად. ჰყავს ერთადერთი ვაჟი, რომელიც მეუღლესთან ერთად ათეული წლები მოსწავლეთა აღზრდას ემსახურა. თავად უშვილო ცოლქმარი არაფერს იშურებდა იმისთვის, რომ სითბო და სიყვარული არ მოეკლო სხვისი შვილებისთვის. ამ 25 წლის წინ მათ სამი ინდოელი ობოლი გოგონა(დები) იშვილეს. გოგონები უკვე დიდები არიან და ამაგს არ უკარგავენ მზრუნველ დედობილ-მამობილს. აი, ასეთ სათნო და კეთილ ადამიანებთან მიწევს ახლა ურთიერთობა და უფალს ვმადლობ, რომ არ მიმატოვა... მაგრამ უსამშობლო ქალი უფრთო ფრინველია, რომლისთვისაც სულ ერთია დარი თუ ავდარი, დღე თუ ღამე, ზამთარი თუ ზაფხული..“

ასეთ ისტორიას გვიყვება წიგნის „ქართველი ემიგრანტი ქალები იტალიაში“ ავტორი და ამ ყველაფრის წამკითხავს გეუფლება განცდა, თუ რამდენად რთულია ემიგრანტთა ხვედრი და ამავდროულად სიამაყე გიპყრობს, რომ ქართველი ქალის ვაუკაცურმა შემართებამ რამდენი ოჯახი იხსნა გაჭირვებისგან. თავად ქალბატონი მარინა პირად საუბარში ყვება, რომ ამჯერად განუსაზღვრელი დროით ჩამოვიდა საქართველოში, რადგან ბოლო დროს მძიმე ავადმყოფის მოვლის გამო მარჯვენა მკლავის მყესი ჰქონია განყვეტილი და ოპერაციას გეგმავს. —„თუ ყოველივე კარგად იქნება, შემდეგ უკვე იტალიის და რამდენიმე ქვეყნის მონახულებას ვგეგმავ,“-ამბობს ავტორი. წარმატებები მინდა ვუსურვო ამ მართლაც გმირ ქალბატონს, რომელმაც ემიგრანტობაში, ავადმყოფი ხალხის მოვლის პარალელურად ძალა მონახა საკუთარ თავში და ქართველი საზოგადოებისთვის წიგნი შექმნა, წიგნი, რომელიც ჩვენი საუკუნის მწარე რეალობაა.

ლალი მეხრიშვილი

ოდნავ სევდიანი პოეზია

სოფიო მენთეშაშვილი

ბევრი ვიფიქრე, ამჯერად რა დამეწერა. მერე გადავწყვიტე, ჩემი აზრებისგან ცოტა ხნით დამესვენებინეთ და ჩაისთან მისაყოლებელი, ოდნავ სევდიანი ლექსები მომეტანა თქვენთვის. დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს ჯერ არ სმენია ამ ავტორების შესახებ, შესაბამისად, არც მათი ლექსები წაუკითხავს.

დღეს მე გთავაზობთ ორი თანამედროვე მწერლისა და პოეტის შემოქმედების ფრაგმენტებს. შეფასება თქვენთვის მომინდია, მაგრამ

გირჩევთ, უბრალოდ მოეშვათ და ისიამოვნოთ- მნიშვნელობა არ აქვს, გიყდებით პოეზიაზე, თუ ეჭვის თვალით უყურებთ იდეალისტი მეოცნებეების ,,ირეალურ" სამყაროს.

სანამ ლექსებზე გადავიდოდეთ, ავტორებზე მოგიყვებით ერთი-ორი სიტყვით.

ლია ლიძოკელის არაჩვეულებრივ და ორიგინალურ პოეტურ კრებულს „დევის ცოლის სიცილი", შეიძლება ითქვას, გამოცემისთანავე ,,საბას" (ლიტერატურული პრემია) უწინასწარმეტყველებდნენ და საბედნიეროდ, ეს წინასწარმეტყველება ახდა. 2013 წელს ლიას გადაეცა ,,საბა" საუკეთესო ლიტერატურული დებიუტისთვის. 2015 წელს მოიპოვა წინანდლის პრემია საუკეთესო ლექსების ავტორობისთვის.

სალომე გენიძეს, როგორც დამწყებ პოეტს, 2012 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია ,,საბა" წლის საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში (პოეტური კრებულისთვის „მოხსენებითი ბარათი"). 2015 წლის შემოდგომაზე მისი რომანი ,,ქალაქი წყალზე" დასახელდა წლის საუკეთესო პროზაულ ნანარმოებად და გადაეცა ზურაბ ჟვანიას სახელობის წინანდლის პრემია.

ალბათ გასაკვირი არცაა, რომ ჩემთვის განსაკუთრებულად ახლოა ქალების პოეზია. შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ამ სიტყვებს მხოლოდ ქალი თუ იგრძნობს. ამის მიუხედავად, ყველას- განურჩევლად სქესისა- გიზიარებთ უბრალოებით გამორჩეულ ორ ლექს-ჩანახატს, რომლებიც ძალიან, ძალიან მიყვარს. მომდევნო ნომრებში კი შევეცდები მამაკაცი ავტორებიც არ დავჩაგრო და მათი შემოქმედებაც გაგაცნოთ ეტაპობრივად. ახლა კი დატკბით.

ავდგე, გავფრინდე

გააჩინე შვილი, მითხრა დედაჩემმა, გააჩინე.
აბა როგორ, ვუთხარი, აბა როგორ.
ბოლო ზაფხული გავაცილე,
ჩემი ბებერი მზრები ფოთლების თოვლისთვის დაიხარნენ.
ბებერი დაიბადება, დედი,
როგორც მე დავიბადე შენზე ათასი წლით ბებერი.
ჩემი ღამეები შეჯამენ, დედი, ჩემი აემუვლებული მგლები.
მდინარეში ჩამივარდება, დედი, დამესრჩობა,
მდინარეები გადმომდის თვალებიდან.
უსუსური ბარტყივით გაძიგნიან ჩემი კოშმარების ღვარცოფები.
შიმშილით მომიკვდება, დედი, სისხლს ხომ
არ მოვაწოვებ,
ჩემი ღარიბი მკერდი კაბის უბესაც ვერ ავსებს.
სიცივით მომიკვდება, დედი, ყინულის სიტყვებს ვისვრი
და სიკვდილისწინა წვიმას ვცრი.
ქვა და ქვიშაა ჩემი სხეული, ახალ ხორცად რაღა გადაზელს.
სად მოვიკიდო დედების დარდი,
სად არის ადგილი დაგრეხილ ხერხემალზე.
დამავიწყდება, ვეუბნები,
დედა დავიძინებ, დედინაცვალი გავიღვიძებ.
სადმე დამრჩება, ვეუბნები, ჩემი თავივით სადმე დამრჩება.
ვინმეს ერთ ულუჭ ძილში გავუცვლი,
ერთ ნამცეც სიზმარში გადავუცვლი.
სად მოვაგროვო მისთვის სამყოფი სიყვარული,
იმდენიც აღარ დამრჩა, ზამთარში ბეღურებს დავუყარო.
ჩემი თვალები რომ გამოყვეს, ხომ შემომხედავს და მომკლავს.
ისედაც კვდები, მეუბნება, აკვანი დაარწიე,
ზისარ და საფლავებს არწევ.
წინ ზამთარია, მეუბნება, ხანდახან ვინმემ ხომ უნდა გაგათბოს.
ზამთარი სულ არის, დედი.
არავინ არავის ათბობს.
ზამთარი სულ არის, ნახე, რამდენი თოვლია ყვავილებში.
ნახე ჩემი თმები – თეთრი სათიბები.
ნახე, როგორ მიქნეენ ხელებს
ცას მიბჯენილი საჩემო აკლდამები –
ზამთარში დარჩენილი მთები.
თუ გავაჩენ, დედი, თუ გავაჩენ,
თავი ას ნაწილად გამისკდება.
ერთზე ნაკლები უნდა გავაჩინო,
ერთი ადამიანი ბევრია მეტისმეტად.
ალბათ რამდენჯერმე უნდა გავაჩინო,
ერთხელ დაბადებული არავინ გადარჩება.
ცოცხალი არ უნდა გავაჩინო,
ცოცხლად გაჩენილი ყველა კვდება.
აბა რაღას მოვასწრებ, დედი, აბა ახლა რაღას მოვასწრებ,
ჩემი ბოლო შემოდგომაა,
უკანასკნელი მერცხლები გაფრინდნენ.
შემოდგომაა შენი დარდი,
ზამთრისწინა გაბმული წვიმა.
შემოდგომაა ეს ლაპარაკი, დამჯნარი სიტყვების ფოთოლცვენა.
ხის ტოტზე ვზიგარ, ვეკლოდები, ქარი აძოვარდეს,
ხელი დაგიქნიო, ავდგე, გავფრინდე.
ავდგე, გავფრინდე
ჩემი ბოლო შემოდგომიდან.

ლია ლიძოკელი

შემოდგომის ავდარი

ზამთრის დაბურულ საღამოს ფარდა ჩამოაფარა დედაჩემმა
(იდგა, ალბათ, ოთხმოცდაცამეტი, ზუსტად არ მახსოვს),
კარი მაგრად ჩაკეტა, ნავთქურა ჩააქრო
და უცნაურად შემომხედა იქვე, კუთხეში მჯდარს.
„არასოდეს შეიყვარო ჰირველმა"- თქვა მან,-
„და საერთოდ, იქნებ სცადო და არასოდეს შეიყვარო."
რა საჭიროა სიყვარული!
მოვა, არაფერს მოგიტანს,
წასვლის წინ კი თვალების ფანჯრებს
ჩაგიმსხვრევს ცრემლებით,
ლოყებზე სისხლიან ნაკვალევს დაგიტოვებს.
ბავშვიან გოგოებს არ სჭირდებათ სიყვარული.
არ შეიყვარო!"
ბავშვები დააძინეს მეგობრებმა,
მთელი დღის დაღლილობა ჭურჭელთან ერთად მირეცხ-მორეცხეს,
დასხდნენ, ჩამოისხეს ქარვისფერი ღვინო,
გადახედეს განათებულ ქალაქს
(ახლა უკვე ორი ათას ცამეტია),
ჩემს გალურჯებულ ხელებს დანანებით დახედეს.
„არასოდეს შეიყვარო ჰირველმა"-თქვეს მათ,-
„რა საჭიროა სიყვარული,
რომელიც მდუღარე ნაკვერჩხალზე გაყალასავით მტკივნეულია,
აგვისტოს შუადღის ჰაერივით უძრავი
და ცარიელ სახლში გატარებული საღამოებივით სევდიანი.
რა საჭიროა სიყვარული,
რომელსაც მუდამ მარტოობის ჩრდილი ადგას
და იმ ყვავილების სუნი ასდის,
რომელსაც ელოდი და არ მოგიტანეს.
ერთ დღესაც თვითონ მოგ ძებნის ის,
ვისაც მანამდე თვითონ ეძებდი,
ის, ვისაც ზურგით დაუდეგები
და შემოგაბრუნებს,
ვისაც ხელს ჰკრავ და არსად წავა,
ვინც სიმშვიდის ცისესიმაგრეში გაცხოვრებს.
ამიტომაც არასოდეს შეიყვარო ჰირველმა".
არ დამინახავს, საიდან მოვიდა ღმერთიმამაჩემი.
იგი მოვიდა ფეხშიშველი,
ჩემსავით ლოყებდასერილი თვალების ნამსხვრევებით,
ჩემსავით გალურჯებული ხელებით.
მოვიდა და ოთახის კუთხეში ჩემსავით ჩამოჯდა.
„არ გამოსცადო სიყვარული შენი"- თქვა მან,-
„უბრალოდ გჯერდეს, რომ არაფერია მასზე დიდი
და მასზე მშვენიერი.
უბრალოდ გჯერდეს, რომ მისი ძალა
ერთმანეთის მიმართულებით დაძრავს
დედამიწის ორ ნახევარსფეროს.
არ გამოსცადო სიყვარული შენი,
უბრალოდ იცხოვრე მის სიურჯეში,
სანამ სიკვდილი არ გამოგაფხიზლებს."
მე ახლა ვზიგარ მაისის მზით გამთბარ ოთახში,
ვზიგარ და ვუყურებ კომპიუტერის ეკრანს,
ვზიგარ ისე, როგორც შენ წინ ვიჯექი
ჩემს საყვარელ კაფეში.
ვზიგარ, ვიღიმები, გისვამ ათას შეკითხვას
და ვფიქრობ,
რა მნიშვნელობა აქვს დანარჩენს,
როცა ვარ მე,
როცა ხარ შენ
და
ცრემლებივით გამჯვირვალე ჰაერი ჩვენ შორის.

სალომე გენიძე

მუხრან მაჭავარიანი–უბოდიშობამდე მისული გაბედულება!

უბოდიშობამდე მისული გაბედულება!-ასე უწოდა მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას მისივე კოლეგამ და უნიჭიერესმა პოეტმა მურმან ლებანიძემ.

სამშობლოს სიყვარული ყველა კეთილგონიერი ადამიანის თვისებაა, თითქოს აკვნიდანვე თან დაჰყვება იმ უდიდესი ფასეულობის თაყვანისცემა, რასაც მშობლიური ქვეყანა ჰქვია, მაგრამ ადამიანმა შეიძლება სამშობლოს ხატი აღმოაჩინოს კონკრეტულ ადამიანებში, ადგილებში, ისტორიულ და კულტურულ მოვლენებში.

პიროვნებისთვის ფასეული სწორედ ის ხდება, რასთანაც მყარდება მისი სიღრმისეული სულიერი კავშირი.

მუხრან მაჭავარიანის მთელი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულითაა შთაგონებული. საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა არცერთი ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომლის დროსაც მუხრანი უკან გადამდგარიყო და ხმალამოწვდოლს არ ებრძოლა ქართული სულის, საქართველოს წარსულის და მომავლის გადასარჩენად გამართულ ომში. ყოველთვის ისმოდა პოეტის მართალი სიტყვა, იგი ყოველთვის იდგა ქართული სიტყვის სადარაჯოზე.

1978 წელს, როდესაც სსრკ-ს ხელისუფლების დიდი მცდელობის გამო ქართულ ენას საფრთხე შეექმნა, მუხრან მაჭავარიანმა ქართული ენის დასაძაბად უკვდავი სტრიქონები დაწერა:

,,კი მაგრამ...
ღმერთი აღარაა?!
ბნელია?!
ქართული იქნებ ნორჩი ჰგონიათ ენა"

იმ დღეებში ლოზუნგად იქცა მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: „ოღონდაც გული ქართული მუდამ გიძგერდეთ, მარადჟამს". ამ ლექსის გამო ცენტრალური კომიტეტის რისხვა დაატყდა თავს.

ცოტამ თუ იცის პოეტის სახლ-მუზეუმის შესახებ, რომელიც მუხრანის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ 2015 წლის 17 მაისს გაიხსნა.

სტუმრებს დღემდე ეშლებათ საჩხერის რაიონის სოფელი არგვეთი, სადაც პოეტის სახლ-მუზეუმია და ზესტაფონის რაიონის სოფელი არგვეთა.

უყურებთ მუხრანის საწერ მაგიდას, მაგიდაზე დალაგებულ ხელნაწერებს, ეცნობით მის კალიგრაფიას...

შემდეგ შეამჩნევთ საწერ მაგიდასთან მდგომ მოსასვენებელ საწოლს და წარმოიდგენთ, როგორ ისვენებდა მუშაობით, ცხოვრებით, სამშობლოს წარსულისა და მომავლის გადასარჩენად ბრძოლით და ფიქრით დაღლილი პოეტი.

აქვეა განთავსებული მუხრანის მშობლების თამარ იაკობაშვილისა და იოანე მაჭავარიანის ფოტოებიც, უსმენთ მათ ისტორიას და კიდევ მეტად გეუფლებათ სიამაყის განცდა ქართველად ყოფნისა.

ბოლო წლებში პოეტი სოფელს დაჰუბრუნებია, თითქოს განმარტოვდა და სიჩუმემ ასეთი სტრიქონები დააწერინა:

,,ერწყმის მდუმარებას ბინდი ზებუნებრივს.
და დუმს ბროწეული.
და დუმს ალუბალი.
სხედან აივანზე მოხუცებულები,
სინანულისანი
მესმის
გალობანი"

მუხრან მაჭავარიანი 2010 წლის 17 მაისს, თბილისში, რუსთაველის თეატრში პოეტ ფრიდონ ხალვაშის ოთხმოცდამეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს ესწრებოდა. სცენაზე ისე ავიდა, თითქოს სამშობლოს სიყვარულის სიმძიმეს ატარებსო. უეცრად შეტორტმანდა და...მისი ბოლო.სიტყვა იყო "საქართველო". იგი არ წაქცეულა, ჩაიმუხლა, რათა შესდგომოდა მთაწმინდის აღმართს. ღირსეულად ამაღლდა... ღირსეულად გააცილა ერმაც, ამაღელვებელი იყო სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს გამოსამშვიდობებელი სიტყვა:

"თქვენი გამოსვლის დროს მე გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები. მან ასე უწოდა თავის ორ მოწაფეს: "ძენო ქუხილისანნო!" თქვენ შეგშვენით ეს — ძეო ქუხილისაო! მართლაც, თქვენ გამოიარეთ საოცარი გზა და დგახართ მწვერვალზე, საიდანაც ელაპარაკებით ჩვენს ხალხს. თქვენი პოეზია თქვენი გულიდან კი არა, ერის გულიდან ამოსულია და ამისათვის მადლობას გწირავთ".

— არიან ადამიანები, რომლებიც ატარებენ ერის ტკივილს, ერის ბედს, ერის ავსა და კარგს. მუხრანი ბრძანდებოდა ის პიროვნება, რომელსაც სტკიოდა ერის ტკივილი და ამავე დროს ხედავდა მომავალს. პოეტი და მწერალი, უპირველეს ყოვლისა ერის მომავალს უნდა ხედავდეს და აკეთებდეს ყველაფერს მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისათვის.

ქართულმა საზოგადოებამ მუხრანის საბოლოო განსასვენებლად მთაწმინდის პანთეონი მიიჩნია და სამების ტაძრიდან მთაწმინდამდე ტაშით გააცილა და ხელით ატარა.

„შეძლებს თუ არა ბურჭულაძე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურად დამკვიდრდეს?“

ქართულ პოლიფონიურ პოლიტიკას ბანი შეემატა-ასეთი იყო გამოხმაურება, რომელიც პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გადაწყვეტილებას მოჰყვა.

მსოფლიო ბანმა პაატა ბურჭულაძემ პრესკონფერენციაზე ოფიციალურად განაცხადა, რომ ის პოლიტიკაში წავიდა და შექმნა ახალი პოლიტიკური მოძრაობა "სახელმწიფო ხალხისთვის". მისი თქმით, მთელი 25 წლის განმავლობაში ყველა ხელისუფლების გვერდით იდგა და ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირ თუ არა ირიბად ყოველთვის ჩართული იყო - ეს იქნებოდა გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი თუ ივანიშვილი. "მე ვიყავი ყველას გვერდით, რადგან ახალი იქმნებოდა, თუმცა დღეს მე ვერ ვხედავ ისეთ ადამიანს, ვის გვერდითაც შეიძლება დადგომა. ეს ქვეყანა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. არა იმიტომ, რომ მე ვარ ძალიან კარგი პოლიტიკოსი ან პიროვნება, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, იძულებული ვიყავი, მიმეტოვებინა კარიერა, ტკბილი და კარგი ცხოვრება და ჩავდგომოდი პოლიტიკურ ძალას სათავეში", - განაცხადა პაატა ბურჭულაძემ. შეძლებს თუ არა პაატა ბურჭულაძე, რომ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურად დამკვიდრდეს?-ასე ჟღერს მთავარი კითხვა, რომელსაც მისი პოლიტიკური ოპონენტები თუ ექსპერტები სვამენ.

"მე ვფიქრობ, რომ ის საზოგადოებაში ნამდვილად სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდება. მას აქვს ისეთი განსაკუთრებული პიროვნული თვისებები, რომლითაც საზოგადოებას ნამდვილად მოხიბლავს. ეს კვლევებითაც დადგინდა - მას მოსახლეობის დიდი ნაწილი პოზიტიურ პიროვნებად განიხილავს. აქვს ისეთი ქარიზმატულობა, რომელიც პოლიტიკოსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია, მან პირველივე ეტაპზე წარმატებას მიაღწიოს", - აცხადებს თეატრმცოდნე დოდო ხურცილავა.

"მე ვფიქრობ, რომ პაატა ბურჭულაძე სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ვერ ჩამოყალიბდება. ის არის ახალი პროექტი, რომელსაც მომავალ არჩევნებზე საზოგადოებას შესთავაზებენ. ის წინასწარ უკვე შეამზადეს. ჩემი აზრით, შექმნეს სპეციალური ალტერნატიული პარტია, რომელმაც ამომრჩევლის გარკვეული ხმები უნდა გადაინანილოს. ეს სპეციალურად ხდება იმისთვის, რომ ამომრჩეველი, რომელიც ვერ გარკვეულა, ხმა ვის მისცეს, იფიქრებს, რომ ახალი ძალა გამოჩნდა და ხმას ბურჭულაძეს მისცემს. ეს მხოლოდ კარგად დაგეგმილი თამაში მგონია", - თვლის ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი

"პირველ რიგში მინდა პაატა ბურჭულაძეს პოლიტიკურ საქმიანობაში წარმატება ვუსურვო. მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხის გაცემა საკამოდ რთულია, მაინც მგონია, რომ მას აქვს შანსი, შედგეს სერიოზულ და წარმატებულ პოლიტიკურ ფიგურად. მოახერხებს თუ არა ამას, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული. ბურჭულაძეს საზოგადოებაში საკმაოდ პოზიტიური მხარდაჭერა გააჩნია და ამას თუ კარგად გამოიყენებს, გარკვეული წარმატების მიღწევას შეძლებს. მთავარია, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ის იმ პრობლემების მოგვარებას შეძლებს, რომლებიც ამ ხელისუფლების პირობებში ვერ მოხერხდა", - მიიჩნევს კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე.

"საქართველოში თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ბურჭულაძე შეძლებს თუ არა, რომ სერიოზული და მთავარი პოლიტიკური ფიგურა გახდეს, ცოტა რთული ამბავი მგონია. არ მგონია, რომ ბურჭულაძემ ჩვენს საზოგადოებაში ასე სწრაფად ამხელა პოლიტიკური სიმპათიები დაიმსახუროს. არჩევნებამდე ნახევარი წელი ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ გამოუცდელი ადამიანი უცბად სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდეს", - დასძენს ფილოლოგი გია მურლულია.

პაატა ბურჭულაძის გვერდით დგას სანდრო გირგვლიანის მამა, რომელიც თვლის, რომ ბურჭულაძე პოლიტიკურ ასპარეზზეც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც საოპერო სცენაზე.

შვილის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი მხოლოდ მე არ შემეხო და საქართველოში ასეთი ძალიან ბევრი ადამიანია. რა თქმა უნდა, მეც და ჩემს მეუღლესაც დიდი იმედი გვქონდა, რომ მოვიდოდა ძალა, რომელიც სამართლიანობის აღდგენისთვის იბრძოლებდა. მაშინ ყველას იმედი მოგვეცა, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი მხოლოდ ილუზიად დარჩა. არ ვიცი, რატომ ვერ შეძლეს სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ ყველას სხვა მოლოდინი გვქონდა. ჩვენ ვიბრძოდით, რომ ახალ ხელისუფლებას დაესამარებინა მურუსიძის ვირუსი, რომელიც კი არ დასამარდა, არამედ პირიქით, უფრო კარგი პირობები აქვს შექმნილი. ეს ერთი მაგალითიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ყველა ჩემნაირი შვილმკვდარი მამა თუ დედა, მოტყუებული აღმოჩნდა", განაგრძობს რესპონდენტი.

"საზოგადოებას ალბათ ახსოვს, როდესაც პრეზიდენტმა ჩემი გარდაცვლილი მეუღლე ირინა ენუქიძე ღირსების ორდენით დააჯილდოვა, მაშინ მეგონა, რომ მურუსიძეს უზენაესი სასამართლოს საბჭოს თავმჯდომარედ არ აირჩევდნენ, რადგანაც "ქართული ოცნების" მიერ წარდგენილი საბჭოს წევრები ხმას არ მისცემდნენ. ვიფიქრე, ამას როგორ იკადრებენ-მეთქი. ერთი ხელით რომ მოგეფერებიან და მეორე ხელით სილას გაგაწნავენ, ეს იმ შემთხვევას ჰგავდა. ეს კაცი იმდენად ღირებული აღმოჩნდა, რომ ბოლოს სააკაშვილის სისტემის მსხვერპლადაც კი გამოაცხადეს. თუ მურუსიძე ასეთი წამებულია, მაშინ სხვებმა რაღა დააშავეს? ყველა რეჟიმის მსხვერპლი გამოდის. ამიტომაც არის, რომ პაატა ბურჭულაძეს წმინდა მეგობრული მხარდაჭერა გამოვუცხადე და ზუსტად ვიცი, რომ ხალხს რასაც დაჰპირდება, შეასრულებს", - დასძენს გურამ გირგვლიანი და შეკითხვას - "გაკეთდა განცხადებები, ბურჭულაძე "ნაციონალური მოძრაობის" სატელიტიაო..." - პასუხობს:

"ეს სასაცილოა. პაატა ბურჭულაძე არც სააკაშვილის და არც არავის სატელიტი არ არის. ის არის ადამიანი, რომელიც ამჟამად ჩვენს ქვეყანას ძალიან სჭირდება. მოდით, ამის გადაწყვეტა ხალხს მივანდოთ, არჩევანს საზოგადოება გააკეთებს".

„ისე არ მოხდეს, რომ ოპერამ დაკარგოს პიროვნება და პოლიტიკამ ვერ შეიძინოს“, - ასე აფასებს „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლას.

მისივე განცხადებით, კარგი მომღერალი, კარგი სპორტსმენი, კარგი ბიზნესმენი და კარგი ექიმი არ ნიშნავს კარგ პოლიტიკოსს.

„პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლა სიახლე არ არის. მას შემდეგ, რაც კონკრეტული ფონდი ჩამოყალიბდა და გარკვეული აქტივობები დაფიქსირდა, ყველასთვის ნათელი იყო, რომ ის პოლიტიკაში მოვიდოდა. უბრალოდ ამას გარკვეული დრო დასჭირდა“, - განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

მისივე განცხადებით, ის ვერ უწინასწარმეტყველებს ორი დღის გამოცხადებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმატებას ან წარუმატებლობას და ამბობს, რომ საზოგადოება თუ დაუჭერს მხარს პაატა ბურჭულაძის ახალ პარტიას, ამას ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ვიხილავთ.

საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია 8 ივნისიდან დაიწყება

საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია 8 ივნისიდან დაიწყება,- ეს განცხადება ჟურნალისტებთან პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა არჩევნების საკითხზე პირველად განკარგულება 5 აპრილს გამოსცა, 6 აპრილს კი კონტრასიგნაციისთვის პრემიერ-მინისტრს გადაუგზავნა. მაშინ მთავრობის მეთაურმა სამართლებრივი აქტის ხელმოწერაზე უარი თქვა და განკარგულება შენიშვნებითურთ ქვეყნის პირველ პირს უკან დაუბრუნა. გიორგი კვირიკაშვილმა პრეზიდენტს თხოვნითაც მიმართა, რომ ახალი სამართლებრივი აქტი ივლისში გამოეცა, რათა "ქვეყნის ბიუჯეტს 6-7 თვიანი საარჩევნო კამპანიის წარმოების ფუფუნება არ ჰქონდა". პრემიერის აღნიშნულ პოზიციაზე საპასუხოდ, თავის მხრივ, პრეზიდენტმა ახალი განკარგულების გამოცემა მაისის დასაწყისში დაანონსა.

აღნიშნულის შემდეგ პოლიტიკური პარტიებიც და არასამთავრობო სექტორიც პრეზიდენტს არჩევნებთან დაკავშირებული ახალი განკარგულების გამოცემამდე მთავრობასთან კონსულტაციების ხელახლა გავლას ურჩევდნენ.

კონსულტაციები პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს, პარლამენტის სპიკერ დავით უსუფაშვილსა და ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას შორის გაიმართა.

უცვლელია არჩევნების თარიღი. ის 8 ოქტომბერს გაიმართება.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ კახის წმინდა გიორგის ტაძარში მღვდელმსახურება აღდგება



კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, რომელიც ისტორიულ ჰერეთში ერთადერთი მოქმედი ეკლესიაა, ერთწლიანი პაუზის შემდეგ მღვდელმსახურება განახლდება. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ განუცხადა, ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი პეტრე (ხუმარაშვილი) იქნება. მან აზერბაიჯანის მოქალაქეობა უკვე მიიღო. პეტრე ხუმარაშვილი ამჟამად დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სამლოცველო სახლის წინამძღვარია.

მეუფე დიმიტრის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან წერილი 7თვის წინ გაგზავნეს.

„კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მღვდელმსახურების აღდგენის მიზნით, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, აზერბაიჯანის პრეზიდენტს დეკანოზ პეტრე ხუმარაშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით მიმართა. პეტრე ხუმარაშვილმა აზერბაიჯანის მოქალაქეობა რამდენიმე დღის წინ მიიღო. იგი შაბათ-კვირას ბოლო მსახურებას ჩაატარებს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის სამლოცველო სახლში. რის შემდეგაც უკვე აზერბაიჯანში გაემგზავრება. პეტრე ხუმარაშვილი კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მღვდელმსახურებას ყოველ შაბათ-კვირას ჩაატარებს“,- განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.

„2015 წლის 21 ივნისს, ისტორიულ ჰერეთში მოქმედი ერთადერთი ტაძარის ტაძრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ დემეტრე თეთრუაშვილს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა აზერბაიჯანში შესვლის უფლება არ მისცეს. თეთრუაშვილი კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი 4 წლის განმავლობაში იყო. მანამდე ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილი იყო, რომელიც ადგილობრივების ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან 2011 წელს გამოაძევეს. როგორც მაშინ კახის მაცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, გამოძევებამდე კახის რაიონის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მოძღვარს ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობა და ტაძრის ფასადის შეთეთრებაც აუკრძალეს, სამუშაოების წარმოების დროს კი მორჩილები ხარაჩოებიდან ჩამოყარეს. ამჟამად კახის რაიონში მღვდელმსახურება შეწყვეტილია.

XI საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან-ამაღლებამდე“

6 მაისს, გიორგობის დღეს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიხსნა XI საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან-ამაღლებამდე“ ჯუზეპე ვერდის ოპერით „დონ კარლოსი“ საკონცერტო შესრულებით, რომელიც მიეძღვნა კომპოზიტორის გარდაცვალების 115 და ოპერის შექმნიდან 150 წლისთავს. მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი და იტალიელი მუსიკოსები. დირიჟორი ხოსე ლუის გომესი (ესპანეთი). პროექტის ავტორი-იანო ალიბეგაშვილი, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ელიზაბეტას პარტია, მას მხარს უმშვენებდნენ ქეთევან ქემოკლიძე-ებოლი, თეონა დვალი-ტებალდო, ჯაკომო პრესტია-ფილიპე II, ჯუზეპე ჯიპალი-დონ კარლოსი და სხვები.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ ალექსანდრე კორსანტია, რომელიც საინტერესო პროგრამას გვთავაზობს ფესტივალის ფარგლებში. სასიამოვნო სიურპრიზი ელის დედოფლისწყაროელ მაღალგემოვნებიან მუსიკის მსმენელებს. 19 მაისს ხელოვნების სკოლაში გაიმართება ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, სოფელ არბოშიკში, ალადაანთ უბანში სტეფანე და დარო ალადაშვილების ოჯახში დაბადებული სახელგანთქმული ქართველი მკურნალი და მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, თერაპიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებლის ალექსანდრე ალადაშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი პიანისტი, ამერიკაში მოღვაწე დათუნა ალადაშვილი, ედიშერ სავიცკი და კონსერვატორიის სტუდენტური კვარტეტი. შესრულდება ვაჟა აზარაშვილისა და სხვა კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებები. თავად ალექსანდრე კორსანტია 5 ივნისს დაუკრავს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარნაზში.

ნანა ჭიჭინაძე

თბილისის „დინამოს“ გამარჯვებიდან 35 წელი გავიდა

ზუსტად 35 წლის წინ, 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. ფინალი ქალაქ დიუსელდორფში, აღმოსავლეთ გერმანულ გუნდთან, იენას „კარლ ცაისთან“ შედგა, რომელიც „დინამოს“ გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დასრულდა. გოლები ვლადიმერ გუცაევმა და ვიტალი დარასელიამ გაიტანეს.

„დინამოს“ მიერ თასების მფლობელთა თასის მოგების 35 წლის იუბილე დღეს საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნება. 16:00 საათზე „დინამო არენაზე“ დაგეგმილია საიუბილეო დაფის გახსნა, 17:00 საათზე ვეტერანი ფეხბურთელები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს ესტუმრებიან, 18:00 საათზე კი თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში საიუბილეო მიღება გაიმართება. ქართული სპორტის მუზეუმის ინიციატივით, მოეწყობა თასების და აქამდე უცნობი ფოტოების გამოფენა, ასევე სპეციალურად ამ თარიღისათვის ქართული სპორტის მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნის პრეზენტაცია.

„დინამომ“ 1981 წლის 13 მაისს, ისტორიულ მატჩში შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა:

ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე (კ.), ნოდარ ხიზანიშვილი, გიორგი თავაძე, ვიტალი დარასელია, ზაურ სვანაძე (67 წ. — ნუკრი კაკილაშვილი), თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია.

სამწუხაროა, რომ ნოდარ ახალკაცის დამოძღვრილი „ოქროს თაობის“ მიერ მოპოვებული ევროთასი დღემდე ერთადერთი საერთაშორისო ქართული საფეხბურთო წარმატებაა.

ლეილა გივიშვილი

10 მაისს უკვე ერთი წელი გახდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, ჩემო დაო ლეილა. შენ მამა აირჩიე და დედა მე დამიტოვე. დედა, რომელიც დღე და ღამე ტირილშია და შენი თავი უზომოდ ენატრება. ლეილა ჩემო ერთადერთო დედმამიშვილო, ძალიან მიჭირს იმასთან შეგუება, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ, ჩემო მესაიდუმლე დაო, ძალიან მომანატრე თავი. ამ მონატრებას კი მხოლოდ შენ საფლავთან მოსვლით ვიკმაყოფილებ, სადაც შემიძლია ბევრი გელაპარაკო. რა უყავი ის სიმხნევე, ის სიყოჩაღე, ის პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც ასე გახასიათებდა მთელი ცხოვრების მანძილზე?- გეკითხები, მაგრამ ვიცი, რომ შენც გინდოდდა ჩვენთან ყოფნა, ძალიან გიყვარდა სიცოცხლე, მაგრამ ჩვენ ხომ ყველა მეორე სამყაროში მიმავალ გზაზე ვდგავართ, რისი შეცვლაც არავის შეგვიძლია. ეს გზა ძალიან დაგიმოკლა შენმა სასტიკმა ავადმყოფობამ. მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა და ჩვენი ექიმებთან სიარულისა, მაინც ვერ გიშველეთ, რადგან ბედისწერას ასე უნდოდა. მართალია, შენ შენი საკუთარი შვილები არ გყოლია, მაგრამ ჩემს შვილებს ყოველთვის ემახსოვრები დეიდა, რომელსაც დედაზე არანაკლები ადგილი უჭირავს მათ გულებში.

წახვედი და ყველას დაგვიტოვე ძალიან დიდი მონატრება. ჩვენ კი ერთადერთ ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ ვილოცოთ და სანთლები დავანთოთ, რათა მშვიდად დაიმკვიდრო და განისვენო ცათა სასუფეველში.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, დაო ლეილა!

შენი და
ნაილი ჯინაშვილი.

მეუღლე ნელი ყაჭაშვილი; შვილები: კობა, ნათია, თეა ქადაგიძეები; სიძეები: მამუკა დიერაშვილი, ვანო ცისკარიშვილი, დათო ხუციშვილი; რძლები: ესმა ქადაგიძე, ნინო ნასრაშვილი, მარი ელოშვილი; შვილიშვილები: გიორგი, ნიკოლოზი, მარიამი, ანასტასია; ძმა ხვთისო, ძმისშვილები: გიორგი და ნანა ქადაგიძეები იუწყებიან

შალვა გიორგის ძე ქადაგიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი16 მაისს, 5საათზე; დაკრძალვა 17 მაისს, 2საათზე.

უახლოესი მეზობლები: გოდერძი აბულაშვილი, გოგი გივიშვილი, ოთარ კიკნაძე, გურამ ნატროშვილი, შალვა იაკობიშვილი, ლია პოპიაშვილი და თამაზ ლაპიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ჟუჟუნა, ვაჟა, გია, ანა, ია და ლალი ნაროზაულებს დედისა და ბებიის

ზინას

გარდაცვალების გამო.

15 ნაკრძალი ერთ ქვეყანაში – საქართველოს დაცული ტერიტორიები ათეულობით ცხოველისა და მცენარის ჯიშს ინახავს



საქართველოს მთავარ ტურისტულ რესურსს ბუნება წარმოადგენს. სწორედ განსაკუთრებული ლანდშაფტისა და ბუნების გამო სტუმრობს საქართველოს უცხოელ ვიზიტორთა დიდი ნაწილი. აქაური ფლორა და ფაუნა ინახავს ათეულობით ცხოველისა და მცენარის ჯიშს, რომელიც "წითელ ნუსხაშია" შეტანილი.

საქართველო მდიდარია დაცული ტერიტორიებითაც. ქვეყნის ტერიტორიაზე 15 ნაკრძალია, რაც ჯამში 141,000-მდე ჰექტარის ფართობის ტერიტორიას მოიცავს.

ნაკრძალებს შორის ყველაზე დიდია ლაგოდეხის ნაკრძალი (24, 451 ჰა). ეს ნაკრძალი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს, რომელიც 1912 წელს დაარსდა.

შესაბამისად იგი საქართველოში არსებულ დაცულ ტერიტოერიებს შორის ყველაზე ძველიცაა. ეს ნაკრძალი განსაკუთრებულია იმითაც, რომ საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების თითქმის 2/3-ს აქ იხილავთ.

ნაკრძალებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდია ბორჯომის ნაკრძალიც, რომელიც 1935 წელს უნიკალური ტყის მასივებისა და კავკასიური კეთილშობილი ირმის ჯიშის გადარჩენის მიზნით დაარსდა. მისი ფართობი 14,820 ჰექტარს მოიცავს.

იგი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შემადგენლობაშია და 2007 წლიდან ევროპის დაცული ტერიტორიების ქსელის - ჴAN პარკის წევრია, რაც მის განსაკუთრებულობაზე მიუთითებს.

ბორჯომის ნაკრძალის გარდა, ასევე ყველაზე ცნობილი და დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი ვაშლოვანის ნაკრძალიც (10,143 ჰა). იგი 1935 წელს დაარსდა. გადმოცემის თანახმად, ვაშლოვანი მას ამ ტერიტორიაზე გავრცელებული საკმლის ხის ტყის გამო დაერქვა, რომელიც ვაშლის ბაღებს ჰგავს.

ნაკრძალის შექმნა უკავშირდება იშვიათი სახეობის მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების დაცვასა და აღდგენას.

ხმელეთის ასეთ მცირე ფართობზე მცენარეთა სახეობების ისეთი სწრაფი ცვლა, როგორც ამ ნაკრძალის ტერიტორიაზე შეინიშნება, საქართველოს არცერთ სხვა კუთხეში არ არის.

დაცულ ტერიტორიებს შორის განსაკუთრებულია ასევე თუშეთის ნაკრძალი, რომლის ფართობი 12 627,2 ჰექტარს შეადგენს. იგი დაარსებულია 1961 წელს იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და ენდემურ რელიქტიურ მცენარეთა სახეობების დაცვის მიზნით.

ნაკრძალში დაშვებულია მხოლოდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტურიზმი, გადაადგილება შესაძლებელია ფეხით და ცხენით სპეციალურად განსაზღვრულ მარშრუტებზე. ეს ნაკრძალი შედის თუშეთის დაცულ ტერიტორიებში, რომელიც ევროპაში ყველაზე დიდი დაცული ტერიტორიაა. აქ საქართველოს მთიანეთისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა მცენარე და ცხოველია. მათ შორის წინააზიური ლეოპარდი, ჩვენებურად ჯიქი.

კიდევ ერთი ნაკრძალი, რომელსაც დიდი ტერიტორია უკავია, არის კინტრიშის ნაკრძალი (10 703 ჰა). იგი ქობულეთში, მდინარე კინტრიშის ხეობაში მდებარეობს. ეს ნაკრძალი 1959 წელს დაარსდა მესამეული ხანის კოლხური ტიპის ფლორისა და ფაუნის დასაცავად. აქ მდინარეებში ბევრია კალმახი.

კინტრიშის ნაკრძალთან ახლოს მდებარეობს ქობულეთის ნაკრძალი, რომელიც წყლის ფრინველთა საბინადროდ უნიკალური ჭარბტენიანი ეკოსისტემის გადარჩენის მიზნით შეიქმნა. ამ ნაკრძალის სტატუსი აღიარებულია რამსარის კონვენციით. აღნიშნული ტორფნარები მოიცავს ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს.

ლიახვის ნაკრძალი (6 388 ჰა) კი 1977 წელს დაარსდა ლიახვის სუბალპური ტყეების დაცვის მიზნით. აქ ბინადრობს კეთილშობილი ირემი, რომელიც კავკასიონის ტერიტორიაზე მხოლოდ აქ გვხვდება.

განსაკუთრებულია მარიამჯვრის ბაბანეურის ნაკრძალი (862,1 ჰა) კი ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

ეს ნაკრძალი საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილი ძელქვის თითქმის 240 ჰექტრიანი კორომების დაცვის მიზნით, 1961 წელს შეიქმნა.

სათაფლიის ნაკრძალი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს და იგი 1935 წელს დაარსდა. მისი ფართობია 330 ჰექტარი და მოიცავს გეოლოგიურ, პალეონტოლოგიურ, სპელეოლოგიურ, ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ძეგლებს.

ეს ნაკრძალი მდიდარია კარსტული მღვიმეებით. აქ აღმოჩენილია ბალახისმჭამელი დინოზავრების ნაკვალევი.

საქართველოს სახელმწიფო ნაკრძალიდან 6 ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. მათ შორისაა ფსხუ-გუმისთის ნაკრძალი (40,734 ჰა), რომელიც ფსხუსა და გუმისთის ნაკრძალებს აერთიანებს. ფსხუს ნაკრძალი დაარსდა 1978 წელს და მისი მიზანია აფხაზეთში ხელუხლებელი წიწვოვანი ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვა.

გუმისთის ნაკრძალი კი აფხაზეთში არსებული ხელუხლებელი ფოთლოვანი ტყეების ბიომრავალფეროვნების დასაცავად დაარსდა.

აფხაზეთის ტერიტორიაზეა ასევე რიწის ნაკრძალიც (13, 893 ჰა), რომელიც ქალაქ გაგრიდან 60 კმ-ს დაშორებით რიწის ტბის გარშემო მდებარეობს.

იგი 1957 წელს შეიქმნა, რიწის ტბისა და მის გარშემო არსებული რელიქტიური ტყეების დაცვის მიზნით.

ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალის (1, 679 ჰა) დათვალიერების შესაძლებლობა კი მსურველს 1966 წლის შემდეგ აქვს. აქ საქართველოს "წითელი ნუსხის" მცენარეებიდან წარმოდგენილია: ბიჭვინთის ფიჭვი, კოლხური ბზა, ლაფანა უთხოვარი, კოლხური ლელვი, კავკასიური ხურმა, ხემარწყვა და ხისმაგვარი მანანა.

ფართობით ყველაზე პატარა სკურჩის ნაკრძალი (85 ჰა) ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს. აქ შეხვდებით კოლხურ ბზას, კოლხურ ლელვს, ჰართვისის მუხას, ლაფანს, კოლხურ ჯონჯოლს და ველურ ვაზს. იგი აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილის ინიციატივით დაარსდა 1971 წელს. მისი მიზანი კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი, სუბტროპიკული ტიპის ტელიქტიური ტყეების დაცვაა.

ულოცავენ!

თემურ თავაძეს!
გია ნიკვაშვილს!

ღირსეულ პიროვნებებს, ჩემს უმცროს მეგობრებს გულწრფელად გილოცავთ დაბადებიდან 55 წლისთავის საიუბილეო თარიღს!

გისურვებთ დიდ ბედნიერებას, სიკეთეს, სრულყოფილების აღქმას, საკუთარი თავის შეცნობასა და მტრის შეყვარებას.

პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოწოდებათა შემეცნებასა და მის ცხოვრებაში გატარებას.

უფალი გფარავდეთ!

ქრისტესმიერი სიყვარულით ვახუშტი ქიზიყურაშვილი
საქველმოქმედო საზოგადოება ყველა ასაკისთვის „ამაგდარის" თავმჯდომარე, საპატრიარქოსთან არსებული მეღვინეობისა და მევენახეობის განვითარების სამეცნიერო ცენტრის თანათავმჯდომარე.

ნათია გონაშვილს!
დავით ჭრელაშვილს!



თქვენი სიყვარული დრომ გამოსცადა. არბოშიკის ერთ ლამაზ უბანში გაიზარდეთ, ერთმანეთს საკუთარი თავის შეცნობის დღიდან იცნობთ და მიუხედავად ამისა, გეყოთ გონიერება და წინდახედულება თქვენი მიზნებისკენ მიმავალ გზაზე განონასწორებული ყოფილიყო თქვენი სიყვარული. მიზანი მიღწეულია, ნათიამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სტაჟირება ჩიკაგოსა და ნიუ-იორკში გაიარა და ექიმი-რეზიდენტის სტატუსით გინეკოლოგიურ საქმიანობაში მალე ჩაერთვება. დათომ კი საკუთარი ბიზნესის წინსვლასა და აღიარებისთვის ბევრი იშრომა. მისი ტკბილეულობის ფირმა „მადა" თბილისში ცნობადი და წარმატებულია. თქვენ ორივე უკვე მყარად დგახართ საკუთარ ფეხზე და დიდი იმედია, თქვენი ოჯახი მტკიცე, ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული და ძლიერი იქნება. 21 მაისს ქ. მცხეთაში თქვენი ქორწილი შედგება. გისურვებთ, ბედნიერი იყოს ეს ქორწინება, სიყვარულით ნაკვებ-ნალოლიავები, აკვანთა სიმრავლე და სიხარული დაგბედებოდეთ. ღირსეული მშობლების შვილები ხართ და ეჭვიც არ გვეპარება, თქვენც ღირსეულ შვილებს დაუზრდით ქვეყანას.

პატივისცემით და სიყვარულით დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის სახელით: ნარა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აგლაძე, მარინე ღვინიაშვილი, მარინა ხარაშვილი, დიმიტრი ყოჩიაშვილი და სხვები.

იყიდება!

იყიდება ბინა ბელეტაჟზე ძნელაძის ქუჩა N25-ში. არის კეთილმოწყობილი, უზრუნველყოფილია გაზით, წყლით, საკარმიდამო ნაკვეთით. ასევე იყიდება პიანინო „უკრაინა" კარგ მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით.

☎ 593 79 56 59. იკითხეთ მანანა ბასილაშვილი.

იყიდება!

იყიდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა მაღაზია „ბეკოს" თავზე, 9 ძმის ქუჩა N 1-ში, მე-2 სართული. ☎ 599 53 06 16. იკითხეთ ლია.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 16.05	სამშაბათი 17.05	ოთხშაბათი 18.05	ხუთშაბათი 19.05	პარასკევი 20.05	შაბათი 21.05	კვირა 22.05
დღე	19 °	18 °	18 °	19 °	16 °	16 °	14 °
ღამე	15 °	17 °	16 °	15 °	15 °	15 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-ქენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.